გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მარჯვის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(103) 2015 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

სწავლა იწყება

ძვირფასო ბავშვებო, მოსწავლეებო, მშობლებო, მასწავლებლებო და აღმზრდელებო, სასწავლო და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებო, მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს მშშაკებო, გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

პატივცემულო მასწავლებლებო! უპირველეს ყოვლისა მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ წლების განმავლობაში თავდაუზოგავი და უანგარო შრომით ზრდით ჩვენი რაიონისა და ქვეყნის მომავალ თაობებს! არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თქვენ განსაკუთრებული როლი გაკისრიათ ერის წინსვლისა და განვითარების საქმეში. განათლებული ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ქვეყნის წინსვლის, წარმატების, მისი სიმტკიცისა და ერთიანობის აუცილებელი წინაპირობაა, მისი სიმდიდრეა!

გისურვებთ წარმატებებს თქვენს უკეთილშობილეს მოღვაწეობაში, რომელსაც ეწევით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი მომავლის - ახალგაზრდა თაობის განათლებისა და ღირსეულ ადამიანებად აღზრდისათვის. გისურვებთ გეამაყოთ თქვენი გაზრდილებით.

განსაკუთრებით მინდა მივესალმო **პირველკლასელებს**, ვინც პირველად უნდა შემოდგას ფეხი სკოლაში. მათთვის ეს განსაკუთრებული დღეა. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ასეთი მხიარული და გახარებულები, დღეიდან უნდა შეუდგნენ ცხოვრების ყველაზე ლაღ და ლამაზ წლებს.

ძვირფასო მოსწავლეებო, უფროსკლასელებო! გილოცავთ და გისურვებთ ახალი ენერგიითა და შემართებით შესდგომოდეთ სწავლის გაგრძელებას! მინდა გითხრათ, რომ სწავლის საფასური არ არსებობს. ცოდნა - თავისუფლებაა! ამიტომ ისწავლეთ იმისთვის, რომ ჭეშმარიტ მამულიშვილებად მოევლინოთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას, რომ განათლებული და ღირსეული ადამიანები გერქვათ.

იმედია, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისთვის წარმატებული იქნება.

ცოდნის დიდ გზას დაგილოცავთ!

გიორგი გზირიშვილი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

---

14 სექტემბერს ახალი 2015-2016 სასწავლო წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამივე საფეხურის **7150 მოსწავლე** მიუჯდება სასწავლო მერხებს.

მათ შორის

– 657 პირველკლასელი პირველად შეაღებს საჯარო სკოლის კარებს;

– 385 მეთორმეტეკლასელი ბოლო სასწავლო წელს გაატარებს სკოლის კედლებში.

– 811 პედაგოგი შეუდგება სასწავლო-საალმზრდელო საქმიანობას

31 ოქტომბერს არჩევნებია!

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება № 104/2015

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი **2015 წლის 31 აგვისტო**

საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 18 მარტის პლენარული სხდომის ოქმის №146-II-ს ამონაწერის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ***„თინათინ ხიდაშელისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“*** საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 8 მაისის § 3601- რს დადგენილების შესაბამისად, №11 საგარეჯოს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრს თინათინ ხიდაშელს 2015 წლის 8 მაისიდან, ვადამდე შეუწყდა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 129-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:**

მუხლი 1. საქართვე პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №11 საგარეჯოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დაინიშნოს **2015 წლის 31 ოქტომბერს.**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №46) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია
კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება № 105/2015

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების ჩაილურის თემის №11, 12, ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი **2015 წლის 31 აგვისტო**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ***სოფელ ჩაილურის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ მარტიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს §148 განკარგულების შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ჩაილურის თემის №11, 12 ადგლობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს **ბესიკ მარტიაშვილს** ,2015 წლის 21 აგვისტოდან ვადამდე შეუწყდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 154-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების **№11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის №11,12 ჩაილურის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 31 ოქტომბერს.**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №46) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია
კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 აგვისტოს მორიგი სხდომა ამავე *საკრებულოს თავმჯდომარემ* **ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲥ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲛᲐ** გახსნა.

სხდომაზე საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ ჩაილურის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ მარტიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“*** განხილვის შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო საკრებულოს წევრის ბესიკ მარტიაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 21 აგვისტოდან.

სხდომაზე საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა* ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲧᲝᲠᲓᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**.** მან ვრცლად ისაუბრა და დაწვრილებით შეეხო ბიუჯეტის მუხლობრივ შესრულებას, ისაუბრა ბიუჯეტში შეტანილი იმ ცვლილებების მიზეზებზე, რომლებიც 6 თვის განმავლობაში განხორციელდა. ასევე, ისაუბრა 6 თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზებზეც. მოხსენების ირგვლივ მთელი რიგი შეკითხვები და შენიშვნები ჰქონდათ დეპუტატებს ზურაბ ქურთიშვილსა და გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილს. დეპუტატი ზურაბ ქურთიშვილი დაინტერესდა, თუ ვინ პროგნოზირებს, ვინ აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულების გეგმიურ მაჩვენებლებს. როგორც მან აღნიშნა, იმის გამო, რომ ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმია და წინასწარ არავის შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, ზუსტად დაგეგმოს – მთელი წლის განმავლობაში შემოვა თუ არა ესა თუ ის თანხები. ამიტომ, შესრულების მიმართულებას ხომ უნდა აკონტროლებდეს ვინმე და ეს ვინმე რატომ არ უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობა? როგორც დეპუტატმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა აღნიშნა:

– მიმდინარე წლის სამი თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობა საკრებულოს სხდომაზე იმ საკონკურსო-შესარჩევი გამოცდების მიმდინარეობის ფონზე ავხსენით, რომელმაც არცთუ ისე კარგი შედეგი გვიჩვენა, ახლა რით შეიძლება ავხსნათ 6 თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობა?

დასმულ კითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, თუმცა პასუხებით უკმაყოფილო დარჩა ორივე დეპუტატი.

ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება სრულად წარმოგიდგინოთ 6 თვის ბიუჯეტის შესულება.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის 76 დადგენილებით 2015 წლის 6 თვეში ცვლილება განიცადა ოთხჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 7475,5 ათასი ლარიდან გაიზარდა 12599,8 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 5124,3 ათასი ლარით; აქედან 741345 ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების 2015 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის განაწილება – 2 718 379 ლარი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები და 1012296 ლარი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულებით გამოყოფილი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში. 143877 ლარი საკუთარი შემოსავლებიდან არსებული ნაშთის განაწილება. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებიდან ნაშთი შეადგენდა 103053 ლარს, მთავრობის 2014 წლის № 34 განკარგულებით კი – 548292 ლარს.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2 718 379 ლარით, აღნიშნული თანხით დაფინანსდა 11 ინფრასტრუქტურული პროექტი, საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ექსპერტიზის მომსახურება:

ᲡᲝᲤ. ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲨᲘ ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა 52 836 ლარი, ხელშეკრულება გაფორმდა 42 268 ლარზე(სხვაობა 10568 ლარი);

ᲡᲝᲤ. ᲧᲕᲐᲠᲝᲡᲗᲐᲕᲡᲐ და **„ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲜᲨᲘ“** 4 ჭაბურღილის მოწყობა, შიდა ქსელის მოწესრიგება 248993 ლარი, ხელშეკრულება გაფორმდა 248 993 ლარზე;

Ქ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 138 346 ლარი, ხელშეკრულება გაფორმდა 110598 ლარზე (სხვაობა 27348 ლარი);

ᲡᲝᲤ. ᲛᲐᲜᲐᲕᲘᲡ საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 150729 ლარი, ხელშეკრულება გაფორმდა 132000 ლარზე (სხვაობა 18729 ლარი);

ᲡᲝᲤ. ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 101416 ლარი, ხელშეკრულება გაფორმებულია 87000 ლარზე (სხვაობა 14416);

ᲡᲝᲤ. ᲮᲐᲨᲛᲘᲡ სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

Ქ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ერეკლე მეორის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარების მოწყობა 602 400 ლარი, ხელშეკრულება გაფორმებულია 602 400ლარზე;

Ქ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ თამარ მეფის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარების მოწყობა – 401130 ლარი, ხელშეკრულება გაფორმებულია 353000 ლარზე (სხვაობა 48130 ლარი);

ᲡᲝᲤ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲘ ასფალტის საფარის მოწყობა 150 029ლარი, ხელშეკრულება გაფორმებულია 150029 ლარზე;

ᲡᲝᲤ. ᲑᲐᲓᲘᲐᲣᲠᲨᲘ ასფალტის საფარის მოწყობა 350050 ლარი, ხელშეკრულება გაფორმებულია 296999ლარზე (სხვაობა 53051 ლარი);

ᲡᲝᲤ. ᲙᲐᲪᲐᲑᲔᲗᲨᲘ ასფალტის საფარის მოწყობა391050 ლარი,ხელშეკრულება გაფორმებულია 304999 ლარზე (სხვაობა 86050 ლარი);

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲐᲪᲐᲑᲔᲗᲨᲘ სასმელი წყლის სატუმბო სადგურების მოწყობა და გამრიცხველიანება; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 131400ლარი,ხელშეკრულება გაფორმებულია 97052 ლარზე (სხვაობა 34348 ლარი).

ᲑᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ 1 012 296 ᲚᲐᲠᲘᲗ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის № 506 განკარგულებით, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში. ***აღნიშნული თანხა მოხმარდება: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობას, რეკონსტრუქციას და რეაბილიტაციას 187154 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას – 521613 ლარი, გარე განათებას – 52992 ლარი, ხევების კალაპოტების გამაგრება გაწმენდას – 32612 ლარი, სარწყავი არხების გაწმენდას – 57895 ლარი, კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებს – 68694 ლარი,სანიაღვრე არხების აღდგენას – 43217 ლარი, სკოლამდელ დაწესებულებებს – 32255 ლარი, ამბულატორიებს – 15864 ლარი.***

სულ ***გრანტი გაიზარდა – 3 730675 ᲚᲐᲠᲘᲗ.***

– მუნიციპალიტეტის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შემოსავლებში:

15,0 ათ.ლარით შემცირდა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; 15,0 ათ.ლარით გაიზარდა პროცენტი.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის ხარჯები შემცირდა 10,4 ათასი ლარით;

– შემცირდა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინასური და ფისკალური საქმიანობა 6,8 ათ.ლარით.მათ შორის:

– აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა 4,0 ათ.ლარით.

– ფინანსური და ფისკალური საქმიანობა 2,8 ათ.ლარით.

– შემცირდა ვალებთაან დაკავშირებული ოპერაციები 3,6 ათ.ლარით.

– გაიზარდა ეკონომიკური საქმიანობა – 2398,8 ათასი ლარით; მათ შორის:

– სოფლის მეურნეობა გაიზარდა 57,9 ათ.ლარით;

– საავტომობილო ტრანსპორტი და გზები გაიზარდა 2340,9 ათასი ლარით.

– გარემოს დაცვა გაიზარდა 224,2 ათასი ლარით; **ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:**

– ნარჩენების შეგროვება,გადამუშავება და განადგურება 138,4 ათ.ლარით.

– ჩამდინარე წყლების მართვა 85,8 ათ.ლარით.

– საბინაო-კომუნალური მეურნეობა გაიზარდა - 1863,9 ათასი ლარით, მათ შორის:

– წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები - 1706,3 ათასი ლარით;

– გარე განათება 55,4 ლარით;

– სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში გაიზარდა 102,2 ათასი ლარით.

– ჯანმრთელობის დაცვა გაიზარდა 18,8 ათ.ლარით. მათ.შორის:

– ამბულატორიული მომსახურება 15,8 ათ.ლარით.

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა 3,0 ათ.ლარით.

– დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება გაიზარდა - 157,1 ათასი ლარით, მათ შორის:

– მომსახურება და დასვენება სპორტის სფეროში - 116,2 ათ. ლარით,

– მომსახურება კულტურის სფეროში 40,8 ათ.ლარით.

– განათლების დაფინანსება გაიზარდა - 486,7 ათ. ლარით, მათ შორის:

– სკოლამდელი აღზრდა 485,9 ათ.ლარით.

– სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 0,8 ათ.ლარით.

– სოციალური დაცვა გაიზარდა 12,5 ათ.ლარით. მ.შ:

– გაიზარდა სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში 12.5 ათ.ლარით.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ექვსი თვის შემოსავლები 2015 წლის ექვსი თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 82 %–ით, 2015 წლის ექვსი თვის დაზუსტებული გეგმიური 3815,1 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 3129,2 ათასი ლარი; მათ შორის:

1. საწარმოთა ქონებაზე გადასახდის გეგმა შესრულდა 413%-ით (დაზუსტებული გეგმა 42,0 ათასი ლარი; შესრულება 173,3 ათასი ლარი);

2. ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა) გადასახადის - 11% (გეგმა 13,7 ათასი ლარი, შესრულება 1,5 ათასი ლარი)

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 30% (გეგმა 695,0 ათასი ლარი, შესრულება 210.9 ათასი ლარი);

4. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი77,5% (გეგმა 44,0 ათასი ლარი, შესრულება 34,1 ათასი ლარი);

5. პროცენტებიდან შემოსავალი - 375 %-ით (გეგმა 15,0 ათასი ლარი, შესრულება 56,2 ათასი ლარი);

6. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -78 % (გეგმა 350,0 ათასი ლარი, შესრულება 273,0 ათასი ლარი);

7. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 461% (გეგმა 1,3 ათ.ლარი, შესრულება 6,0 ათ.ლარი);

8. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 15 % (გეგმა 46,0 ათასი ლარი, შესრულება 7,0 ათასი ლარი);

9. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 60 % (შესრულება 1,8 ათ.ლარი)

10. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 56 % (გეგმა 24,0 ათასი ლარი, შესრულება 13,6 ათასი ლარი)

11. შემოსავლები მომსახურეობის გაწევიდან 55 % (გეგმა 5,0 თასი ლარი, შესრულება 2,7 ათ.ლარი)

12. ჯარიმები, სანქციები, საურავები 70 % (გეგმა 483,0 ათასი ლარი, შესრულება 339,9 ათასი ლარი);

13. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების შესრულება 3,8 ათ.ლარი.

14. არაფინანსური აქტივების კლება: ძირითადი აქტივები 9% (გეგმა 52,0 ათ.ლარი, შესრულება 4,8 ათ.ლარი)

15. არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 66 % (გეგმა 116,3 ათასი ლარი, შესრულება 77,1 ათასი ლარი);

2015 წლის ექვს თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 1922,1 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 1924,8 ათასი ლარის 100 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 1801,2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 105,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად (კაპიტალური ტრანსფერი) 15900 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ექვსი თვის გადასახდელების გეგმა წლიურ გეგმასთან შესრულდა 30 %-ით (გეგმა 12599,8 ათასი ლარი, შესრულება 3695,9 ათასი ლარი), ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის დაფინანსება შესრულდა 42% (გეგმა 2282,8 ათასი ლარი, შესრულება 963,9 ათასი ლარი);

1. თავდაცვა -43% (გეგმა 112,0 ათასი ლარი, შესრულება 48,3 ათასი ლარი);

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

8 სექტემბერი, 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია ადგილებზე მიმდინარე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამითა და რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების მდგომარეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ სამუშაოების ხარისხის განხილვას, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის მიმდინარეობს. ამასთან, თათბირზე დასახელებულ თითოეულ პროექტზე, მის ვადებსა და სამომავლოდ დასახულ და ახლო მომავალში განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **გიორგი ჟურდოვანიძემ**.

თათბირის შედეგები შეაჯამა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა, დაისახა სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარების გზები, და ასევე, გამოითქვა მოახლოებული „რთველი-2015“ კამპანიისათვის სრული მზადყოფნა.

თინა ილაური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გაანიხილეს ექვსი თვის შედეგები

დასასრული

2. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 47 % (გეგმა 273,0 ათასი ლარი, შესრულება 128.4 ათასი ლარი);

3. ეკონომიკური საქმიანობა 5 % (გეგმა 2471,8 ათასი ლარი, შესრულება 113,6 ათასი ლარი);

4. გარემოს დაცვა – 32 % (გეგმა 776,7 ათასი ლარი, შესრულება 245,8 ათასი ლარი);

5. საბინაო-კომუნალური მეურნეობა -20 % (გეგმა 2457,6 ათასი ლარი, შესრულება 489,9 ათასი ლარი);

6. ჯანმრთელობის დაცვა -37 % (გეგმა 114,4 ათასი ლარი, შესრულება 42,4 ათასი ლარი);

7. დასვენება, კულტურა, რელიგია - 46 % (გეგმა 1209,9 ათასი ლარი, შესრულება 551,6 ათასი ლარი);

8. განათლება - 38 % (გეგმა 2191,4 ათასი ლარი, შესრულება 841,2 ათასი ლარი);

9. სოციალური დაცვა - 38 % (გეგმა 710,2 ათასი ლარი, შესრულება 270,8 ათასი ლარი);

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ექვსი თვის დაზუსტებულ გეგმასთან (გეგმა 4626,4 ათ.ლარი, შესრულება 3695,9 ათ.ლარი) ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შესრულდა 80 %-ით. მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 775,3 ათასი ლარი, გეგმიური 864,6 ათასი ლარის 90 %.

2. საქონელი და მომსახურება 602,1 ათ.ლარი, გეგმიური 852,1 ლარის 71%.

3. პროცენტები - 2,3 ათასი ლარი, გეგმიური 2,3 ათასი ლარის 100 %;

4. სუბსიდიები 1530,8 ათასი ლარი, გეგმიური 1608,1 ათასი ლარის 95%

5. გრანტები 122,8 ათ.ლარი, გეგმიური 122,8 ათ.ლარის 100%.

6. სოციალური უზრუნველყოფა -165,2 ათასი ლარი, გეგმიური 178,1 ათასი ლარის 93 %;

7. სხვა ხარჯები 49,2 ათ.ლარი,გეგმიური 96,0 ათასი ლარის 51%.

8. არაფინანსური აქტივების ზრდა - 257,2 ათასი ლარი, გეგმიური 701,4 ათასი ლარის 37 %;

9. ვალდებულებების კლება 190,9 ათასი ლარი, გეგმიური 200,9 ათასი ლარის 95 %;

ბიუჯეტის შეუსრულებლობა ხარჯვით ნაწილში გამოწვეულია ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული 2015 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანება გამოწვეულია ზოგიერთი პროექტის ავტორების დაჯარიმებით და არაჯეროვნად შესრულებით, ასევე ექსპერტიზის ბიუროდან პროექტების ჩვეულებრივი წესით წამოღებით პროექტის შემსრულებლის მიერ. რაც შეხება 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განსახორციელებელი პროექტების და ხარჯთაღრიცხვების შესყიდვის დაგვიანება გამოწვეული იქნა პროექტის არაკეთილსინდისერი ავტორების მოძიებით.

– სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების კუთხით

– 2015 წლის ექვს თვეში ერთჯერადი სოციალური დახმარება გაიცა სულ 61900 ლარი.

– სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის და ოპერაციების დასაფინანსებლად გადაირიცხა 26043.47 ლარი.

– ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დასაფინანსებლად გადაირიცხა -30581,39 ლარი

– ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების, სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსებისათვის გადაირიცხა 8679.32 ლარი.

– ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება მოხდა 15778.5 ლარით.

– დევნილ პირთა დაკრძალვისათვის გაიცა 300 ლარი.

– ხანდაზმულთა დაკრძალვის ხარჯი 150 ლარი.

– დიალიზზე მყოფ მოქალაქეებისათვის გადაირიცხა 6800 ლარი.

– პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა ოჯახების დახმარება გაიცა 600 ლარი

– საგარეჯოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება გაიცა 600 ლარი

– უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი 300 ლარი.

– ასწელსგადაცილებული ხანდაზმულებისათვის 150 ლარი

– 2015 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდიდან გადაირიცხა 2812 ლარი სოფ. მანავში ეგრეთწოდებული „ბაძოაანთ ხევის“ ნატანისაგან გასაწმენდად

სხდომაზე ბიუჯეტის შესრულებისათვის გაწეული მუშაობა 18 დეპუტატის მხარდაჭერით (7 წინააღმდეგი) შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები №55. 14. 091; №55. 14. 54. 089; №55. 14. 54. 087 და №55.17.69. 352) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“. სხდომის მონაწილეთა განსახილველად ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსმა*** **დავით ხატიაშვილმა** წარუდგინათ (თანამომხსენებელი: ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე*** **ივ. ბეჟიაშვილი*).***

მათვე წარმოადგინეს საკითხი ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ამჟამად შს სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოზე თხოვების ფორმით გადაცემული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.***

სხდომაზე შემოტანილი საკითხების განხილვის შემდეგ ცვლილებები შევიდა: 1. საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში და კომისიის შემადგენლობაში არიან: ელდარ მეფარიძე – კომისიის თავმჯდომარე, წევრები: მანანა ტაბატაძე, ივანე ქვრივიშვილი, ვანო ქარუმიძე, კონსტანტინე ღოდელიანი, ალექსი იოსელიანი, ნონა ბუზარიაშვილი, გიორგი ჭინჭარაძე, ვეფხია ჩერქეზიშვილი, გოჩა მისრიაშვილი, კახა ადუაშვილი.

2. ***საკრებულოს სოციალური, კულტურული, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის*** პერსონალურ შემადგენლობაში, რომლის შემადგენლობაშიც ახლა არიან: მევლუდ დუჩიძე – კომისიის თავმჯდომარე, წევრები: თამარ სუხიაშვილი, ჭაბუკა ჭანტურია, ნინო დალაქიშვილი, ნიკო გიუაშვილი, ხაიალ გასანოვი, სოსო ჭიკაძე, ამირან სონიშვილი, ვანო ქარუმიძე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ალ. მეზვრიშვილმა** წარმოადგინა მოხსენება ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების*** უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №68 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს დეპუტატებს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას, წარმოუდგინა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგემ*** **ბექა ფეიქრიშვილმა.**

აღნიშნული მოხსენებების წარდგენის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს თანხმობა მიეცათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის, რათა მან შეძლოს და განახორციელოს:

1. **სოფელ მზისგულში** 40-მდე ოჯახის დატბორილი საცხოვრებელი სახლების საკარმიდამო ნაკვეთებისა და სავარგულებამდე მისასვლელი გზების დატბორვის აღმოფხვრისთვის ექსკავატორის დაქირავების, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა;

2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ ნინოწმინდაში** №11 ქუჩის მცხოვრებლებისათვის 450 გრძ/მ 50 მმ-იანი სასმელი წყლის მილის და მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავებისათვის ექსკავატორის დაქირავების სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა;

3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ უდაბნოში** დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის, 320 მმ-იან მილზე სამუშაოების მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

4. ქ. საგარეჯოს კახეთის გზატკეცილი №9, №11, №13 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ტუმბოს შეძენა-მონტაჟის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა;

5. **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის **სოფელ ბადიაურში** ე.წ. „კალონკის“ უბნისთვის 130 გრძ.მ 63 მმ-იანი მილის შეძენისა და მისი 200 ტონიან ავზზე დაერთებისათვის მომსახურების სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა;

6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ უჯარმაში** ე.წ. „გარადოკის“ უბანში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის 250 გრძ/მ 32 მმ-იანი მილის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ ბადიაურში** ე.წ. „სოკარის წყალზე“ დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის 200 მმ-იანი მილზე სამუშაოების მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ უდაბნოში** №1 სატუმბო სადგურზე დაზიანებული ტუმბოს მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ ხაშმში** სასმელი წყლის დაზიანებული ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებისათვის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ უდაბნოს** დაზიანებული სატუმბი სადგურის 630 კვტ-იანი მკვებავი ტრანსფორმატორის 10/04-ის შეკეთების სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვა.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს საკითხი: ქ. საგარეჯოში მცხოვრებ მოქალაქეთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლებისათვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ.

სხდომაზე განხილულ თითოეულ საკითხზე დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოამზადა
თინა ილაურმა

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲝᲗᲮᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ, ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ

ᲓᲝᲓᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ დოდელიანი უჯარმაში თინა მამუჩიშვილისა და ჯუდო დოდელიანის ოჯახში დაიბადა. უფროსი შვილი– თამრიკო სულ ორი წლის იყო, კოტე 6 თვის, როცა მშობლებისგან განებივრებულ ახალგაზრდა მამას საჩუქრად ახალთახალი მანქანა უყიდეს... მასთან ერთად იმ დღეს სამი სხვა უჯარმელიც სიხარულით აღმა-დაღმა, დიდი სიჩქარით დაქროდა და ბედის ირონიაც... თავისივე სახლის წინ, მკვეთრ მოსახვევში თელავიდან მომავალ ავტომანქანას შეეჯახა... ოთხივე მგზავრი გარდაიცვალა...

კოტე 6 თვის იყო... მართალია, არ ახსოვს დედის კივილი, არ დაუნახავს უამრავი ხალხი – ჭირისუფლად ოჯახიდან ოჯახებში მოსიარულე, მაგრამ ახსოვს დედის ნაღვლიანი, ცრემლიანი თვალები, შავი კაბა, შავი თავსაფარი, სასაფლაოზე ხშირი სიარული...

ძნელი იყო ბავშვობა, მძიმე, მძიმე და აუტანელი. იზრდებოდა, მაგრამ ზრდასთან ერთად კარგად იცოდა, რომ არც არავის დაჩაგვრა შეიძლებოდა და არც დაეჩაგვრინებოდა ვინმეს, უსამართლობას ვერ იტანდა... ზოგიც უგებდა სოფელში, ზოგი ვერ უგებდა, მაგრამ თანდათან, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დარწმუნდა სოფელი, რომ კოტე ის კაცია, ცხოვრების მძიმე ქურაში თავისით რომ გამოიწრთო.

ჯერ უჯარმაში სწავლობდა, შემდეგ გომბორის საჯარო სკოლაში გადაიყვანეს. სკოლის დამთავრების 5 წლისთავზე თანაკლასელ ციალა გოჯიტაშვილს გაუმხილა სიყვარული. ციალას რუსეთში ჰქონდა სამედიცინო სასწავლებელი დამთავრებული – ქულები დაჰკლებოდა სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტს, სამაგიეროდ, წითელ დიპლომზე დაამთავრა სასწავლებელი, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო – საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო და ისედაც ყველაფერი აირია აქაც და რუსეთშიც. თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა... შემდეგ კი ციალამ ისტორიული დაამთავრა თელავის პედინსტიტუტის...

ოჯახი შექმნეს. ჯერ თინათინი დაიბადა – ახლა მეათე კლასშია. თიკოს თათა მოჰყვა, თათას (მერვე კლასშია) ტყუპები ლუკა და ჯონი, დღენაკლულები, მონათლეს, მაგრამ მალე გარდაიცვალნენ, შემდეგ კი დიდი სიხარული მოიტანა ჯუდომ (წელს პირველად მიდის სკოლაში), ცოტა ხნის წინ ოჯახი თბილისში გადავიდა, მაგრამ კოტემ ორიოდე დღე „გაძლო“ იქ და უკან დაბრუნდა – არ შეეძლო სოფლის, საკუთარი სახლის იქით ყოფნა, – მითხრა მისმა მეუღლემ, – რამდენიმე ხანში მეც დავბრუნდი ჩემს შვილებთან ერთად. მე არ ვიცი, ის ერთი წელი როგორ გასძლო კოტემ ციხეში (პოლიტპატიმარი იყო „ნაციონალების“ დროს, ის ზურაბ ნოდაიდელის პარტიის აქტივისტი და მხარდამჭერი იყო), თუმცა ძვირი, ძალიან ძვირი „დაგვიჯდა“ მისი იქიდან გამოყვანა – პოლიტპატიმრის სტატუსს მაშინ, ის მთავრობა არავის ანიჭებდა, სულ სხვა მიზეზი დაუდეს საფუძვლად და 25 ათასი ლარის გადახდა მოგვიწია... ეს იყო კოშმარის 1 წელი... გაიხსენეთ „ნაცების“ ციხე...

კოტე ორჯერ იყო აფხაზეთის ომში, იქ იცოდა, რისთვის იბრძოდა, მაგრამ თუ შემდეგ მოვლენები ასე განვითარდებოდა, არ ეგონა – ქართველს თუ ქართველი ასე განუდგებოდა...

კოტეს ბევრი რამ იმ ერთმა წელმაც ასწავლა, თუმცა ერთი წუთით არ გადასულა იმ მთავრობის მხარეს, პირიქით, უფრო მეტ დაუმორჩილებლობას ამჟღავნებდა და 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ ისეთი აქტიურობით ამოუდგა მხარში, რომ ოჯახს ერთი პერიოდი ისევ ციხის ამბები გვახსენდებოდა, მაგრამ...

როცა არჩევნები ჩატარდა, თემის მოსახლეობამ კოტეს ხმა მისცა, როგორც დამოუკიდებელ დეპუტატს, საკრებულოში კი კოტე ღოდელიანი საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარედ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. მაშინ კოტეს და ციალას სამი შვილი ჰყავდათ, დღეს უკვე ოთხი შვილის მშობლები არიან.

– კოტე იქნებ გვითხრათ, რა არის საჭირო სოფელში ავტორიტეტის მოსაპოვებლად, სოფელი – გენდოს, ამოგარჩიოს, დაგასახელოს და მხარი დაგიჭიროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად?

– როგორ გითხრათ, მე რომ ამომრჩეველი ვიყო, ვიტყოდი: ხმას იმას მივცემ და მხარს დავუჭერდი ყველანაირად, ვისაც ვანდობდი ჩემს სოფელს, ჩემს ოჯახს – ეზრუნა, ეფიქრა და მოეგვარებინა საერთო პრობლემები. სოფელი

ადრე თუ გვიან ხედავს მისთვის სანდო კაცს, რომელშიც ალბათ კეთილშობილება, ქველმოქმედება და რაც მთავარია, სიმართლის თქმის უნარი აქვს და იმ სიმართლის დაცვა შეუძლია. გული უნდა შეგტკიოდეს შენი სოფლისათვის, გიყვარდეს და იცოდე, რომ ის შენი სამშობლოა – გაგზარდა, დაგავაჟკაცა და შენგან პატრონობას მოელის... ერთ დღეში ამას ვერ დაიმსახურებ, ეს თანდათან მოვა, ამას წლები სჭირდება, რომ დარწმუნდნენ და შენი იმედი ჰქონდეთ...

– თვითმმართველობის არჩევნებიდან ერთი წელი გავიდა. რა გაკეთდა ამ პერიოდში თემის სოფლებში და რა გაკეთდება კიდევ?

– ყველა სოფელს თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ ჩვენი თემის სოფლებშიც იგივე პრობლემებია, რაც საქართველოს ყველა სოფელს აქვს – სასმელი წყალი, შიდასაუბნო, სასოფლო გზები. ჩვენთან ამას ემატება ბუნებრივი აირის უქონლობაც. ერთი წლის მანძილზე მოიხრეშა შიდასასოფლო გზები, ხევის უბანში მდინარეზე პირველად მოეწყო საცალფეხო ხიდი, შეიცვალა სასმელი წყლის 500 მეტრი სიგრძის მილი, შეკეთდა უჯარმის ზემო უბნის ცენტრალური სასმელი წყლის მილი, გაკეთდა, მოწესრიგდა სასაფლაოზე მისასვლელი გზა; 3 კმ მანძილზე მოიხრეშა სანატორიუმ „უჯარმის“ ზემოთ არსებული უჯარმის მოსახლეობის მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი ბოლო ათეულ წლებში ამორტიზებული გზა; მდინარეზე ჩასასვლელი გზა ერთიანად მოწესრიგდა, რამაც გაუადვილა ჩვენი სოფლის მოსახლეობას მდინარეზე პირუტყვის ჩაყვანა, მდინარეს გაუკეთდა დამბა, რადგან ის ხშირად ტბორავდა ახლომდებარე ვენახებს, აზიანებდა სასმელი წყლის მილს. მისასვლელი გზა გაკეთდა წმ. მარიამის სახელობის ეკლესიასთან; ე.წ. „გარადოკის“ უბანში მოწესრიგდა კანალიზაციის სისტემა, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა იქ მცხოვრებთა ეზოებს. სასმელი წყლის მილებს შეეცვალა დაზიანებული ონკანები, შეკეთდა საბავშვო ბაღის სახურავი, საიდანაც წვიმისა და თოვლის წყალი ოთახებს აზიანებდა. შევიძინეთ და საბავშვო ბაღში შევიტანეთ ინვენტარი – სკამები, მაგიდები. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ჩვენი შვილები სწორედ იმ მაგიდებით და სკამებით სარგებლობდნენ,

რომლითაც 35 წლის წინ დღევანდელი საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები... დაზიანებული იყო სასმელი წყლის მილი, რის გამოც იკარგებოდა წყლის დიდი მარაგი. ახლა ძნელია ჩამოთვალოთ ყველა ის, რაც სოფელში გაკეთდა ბოლო ერთ წელიწადში. აღნიშნული საქმეების მოგვარებაში ჩემთან ერთად იყო ყველგან და ყოველთვის არის გამგებლის წარმომადგენელი უჯარმის თემში – დავით აბელაშვილი.

საკეთებელს რა დალევს სოფელში? „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ, უჯარმაში გათვალისწინებულია სარიტუალო ინვენტარის შეძენა (გამოყოფილია 8 ათასი ლარი), სარიტუალო ინვენტარისათვის საწყობის აშენება (10 306 ლარი), აღნიშნული საწყობისათვის უკვე აშენდა პატარა შენობა, რომელიც მალე ჩადგება ჩვენი თემის სამსახურში. პალდოში – სოფელში გამავალი სარწყავი არხის შემოღობვა (4715 ლარი) (აქ, ამ ადგილას არხში ხშირად საქონელი ვარდება); მუხროვანში – სასმელი წყლის ჭაბურღილამდე დენის მიყვანა (4906 ლარი) გათვალისწინებული. სულ ამ პროგრამით ჩვენი თემისთვის 27927 ლარია გამოყოფილი. თავდაპირველად თემის მოსახლეობას ამ მთლიანი თანხით სარიტუალო დარბაზის აგება უნდოდა, მაგრამ შემდეგ ყველა სოფელმა თავისი პრობლემის ცალკე მოგვარება გადაწყვიტა...

2016 წლისათვის კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას გვპირდება – აქ უჯარმიდან 10 კმ-ის დაცილებით არის ე.წ. „ჩანჩქერი“, რომლის წყლის მარაგი, ჩვენს თემს მთლიანად ეყოფა. გვინდა სოფელში გარე განათების მოწყობა, საყრდენი ბოძები უკვე გვაქვს.

– კოტე, ძნელია დეპუტატობა? რას ჰპირდები შენს ამომრჩეველს დარჩენილ 3 წელიწადში, რას გაუკეთებ?

– ძნელი არაფერი არ არის. მთავარია გრძნობდე პასუხისმგებლობას, სიყვარულს შენი ხალხის, შენი სოფლის მიმართ. როცა საერთო საქმეს ხელებდაკაპიწებული აკეთებ, გულშემატკივრობ სოფელს, ძალაუნებურად გვერდში

ამოდგომა იცის სოფლის მოსახლეობამ, ახალგაზრდობამ და როცა ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს, გვიხარია, ხალხი გვემატება და სიამაყის გრძნობაც გვიჩნდება, მეორეა კიდევ, უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს ადამიანები ამ დროს და შემდეგში ერთიანი ძალით სხვა საქმეზე შეჭიდებას გეგმავ...

ვეცდები ჩემს ხალხთან ერთად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სოფლის პრობლემები მოვაგვარო.

– კოტე, და ამასთან – ოთხი შვილის მამობა?! შიდასოფლის მეურნეობის შეჭიდება და დეპუტატობა – მთელი დღე ფაქტიურად გარეთ ხარ გასული... რა არის შენთვის ოჯახი? როგორ დაგვიხასიათებ მეუღლეს?

– ოჯახი ჩემთვის და საერთოდ, ქართველი კაცისთვის დიდი სიწმინდეა. როცა ოჯახში მეუღლე შესაძლებლობებით გეიმედება, შენ თავად გრძნობ დიდ პასუხისმგებლობას და დროსაც ისე ანაწილებ, რომ ამ დეფიციტს ავსებ ყველანაირად. მე მძიმე გზა გავიარე, თქვენ კარგად გახსოვთ ჩემი ბავშვობაც და შემდგომი წლებიც – მძიმე და გაუსაძლისი, მაგრამ მეც გავუძელი ცხოვრებისეულ გამოცდებს და არანაკლებ გაუძლო ჩემმა მეუღლემ. მან ყველა გამოცდა კარგად კი არა, საუკეთესოდ ჩააბარა. ერთ ხანს უჭმობა არ აგრძნობინა ოჯახს, არ მოშალა კერია, უპატრონა 3 შვილს (მაშინ სამი გვყავდა), საქონლის ფერმას, თან სოფლის ამბულატორიაში ექთნად მუშაობს. მან კარგად იცის, რომ ოჯახი ჩემთვის დიდი, ლამაზი, მშვიდი, ფაქიზი ნავსაყუდელია და ისიც იცის, რომ მე ეს ნავსაყუდელი მიყვარს და ვუფრთხილდები. მე არ მინდა გადაჭარბებაში ჩამითვალოთ, მაგრამ ჩემმა მეუღლემ შეძლო და დღესაც აკეთებს იმას, რაც შეუძლებლად შეიძლება ჩათვალოთ – უვლის 4 შვილს, ჩემამდე არ მოაქვს ბევრი პრობლემა, თვითონვე აგვარებს და არანაკლებ აქტიურად მიდგას მხარში სოფლის საერთო პრობლემის მოგვარებაში. შრომისმოყვარე, კეთილი, წესრიგის მოყვარული, მომთხოვნია. ჩემი მეუღლე მეც ამ თვისებებისკენ მიბიძგებს ძალაუნებურად...

– კოტე, უკანასკნელ ხანში რა გაგიხარდა ძალიან და რა გეწყინა, რამ დაგწყვიტა გული?

– ძალიან გამიხარდა ჩემი მეოთხე შვილის ჯაბილის დაბადება.. ახლახანს გამიხარდა, რომ მალე ჩემი ორი ვაჟის ნათლია უწმინდესი და უნეტარესი ილია II იქნება. გული დამწყვიტა ჩემი სოფლელის – 9 წლის პატარა ბიჭის – ლევან ყარყარაშვილის მტკივნეულმა გასვლამ ამ ქვეყნიდან და 13 ივნისს თბილისში დატრიალებულმა საშინელმა ტრაგედიამ, მაგრამ ამ დამემ გვაჩვენა, რომ ქართველი ერი ერთად დგომით, თავისი კეთილშობილებით, ვაჟკაცობით ყოველთვის უმკლავდება და გაუმკლავდება წინაღობებს, პრობლემებს. ღმერთმა გააძლიეროს ჩემი ერი და ჩემი ქვეყანა.

ესაუბრა
თინა ილაური

მუნიციპალური გვერდი

გამგებლის წარმომადგენელი სხვა რაკურსით

ფარმაცევტი, 4 შვილის მამა და 1 შვილიშვილის პაპა

ნოდარ ბეგიაშვილი გამგებლის წარმომადგენელია სოფელ ვერხვიანში. პროფესიით ფარმაცევტია. თუ მის ბიოგრაფიას გადავხედავთ, შეიძლება კიდეც გაგვიკვირდეს დღევანდელი მისი არჩევანი – სოფლის თავკაცის პოსტი. და რატომ? ბატონი ნოდარი სხვადასხვა დროს მუშაობდა მაკონტროლებელ სამსახურებში, იმ დეპარტამენტებში, რომლებიც საქართველოში ფარმაცევტულ კომპანიებსა და საფთიაქო ქსელებს უწევდა კონტროლს მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხიანობაზე, მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობაზე...

თავისი შრომითი საქმიანობა 1978 წელს საგარეჯოს ცენტრალური აფთიაქის მმართველის მოადგილეობიდან დაიწყო... მალე ოჯახიც შექმნა. იყო უარყოფითი, დამთრგუნავი განსაცდელებიც – პირველი ოთხი შვილის მოლოდინი დიდი ტკივილებით დასრულდა. მაგრამ, უფლის წყალობით, დღეს მათ ოჯახში ხუთი ვაჟია, აქედან 1 შვილიშვილი.

დღეს ბატონი ნოდარი ჩვენი სტუმარია. გვინდა გაგაცნოთ იგი როგორც მეუღლე, მამა, პაპა და, რადა თქმა უნდა, გამგებლის წარმოადგენელი.

– ბ-ნო ნოდარ, როდის და როგორ შექმენით ოჯახი?

– 1980 წელს შევქმენით ოჯახი, ჩემი მეუღლე – ანა ხიზანიშვილი ჩვენივე რაიონიდან, სოფელ გომბორიდანაა. ანა პროფესიით მათემატიკოსია.

გვყავს ოთხი ვაჟი: უფროსი – ლევანი მუშაობს სახალხო დამცველის აპარატში – პროფესიით იურისტია. ორმა ვაჟმა – გიორგიმ და ცოტნემ აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრეს. ერთი მუშაობს „საქართველოს ფოსტაში“, ხოლო მეორე (რიგით მესამე) დროებით უმუშევარია. მეოთხე ვაჟი – ირაკლი სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და პარალელურად მუშაობს ერთ-ერთი კომპანიის დირექტორად.

უფროსი ვაჟი ლევანი დაქორწინებულია, მისგან გვყავს ერთი შვილიშვილი, ისიც – ბიჭი!

– რას ნიშნავს თქვენთვის – იყოთ 4 ვაჟის მამა. რა ვალდებულებები გაქვთ მათ წინაშე?

– იყო 4 ვაჟის მამა, ეს ერთგვარი სიამაყეცაა და მეტი პასუხისმგებლობაც და, რა თქმა უნდა, ოჯახის სიძლიერე.

თქვენს კითხვაზე, თუ რა ვალდებულებები მაქვს, ჩემი ძირითადი მიზანი და ვალდებულება იყო და არის სამშობლოსათვის აღმეზარდა პატიოსანი და შრომისმოყვარე შვილები, რასაც ჩემი აზრით, წარმატებით გავართვით თავი მეც და ჩემმა მეუღლემაც.

– ბ-ნო ნოდარ, ძნელია იყოთ სოფლის თავკაცი და ამავე დროს – დიდი ოჯახის წინამძღოლიც? მით უმეტეს, თქვენ იმ პერიოდში, როცა ბიჭები პატარები იყვნენ (ვგულისხმობ სკოლის პერიოდს), გქონდათ საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობები, თუმცა, დამეთანხმებით, რომ შვილებს, რა ასაკისაც არ უნდა იყვნენ ისინი, მშობლებისაგან ყოველთვის სჭირდებათ ყურადღება, თანადგომა, დახმარება...

– ამ კითხვაზე,– ძნელია თუ არა ვიყო სოფლის თავკაცი და დიდი ოჯახის წინამძღოლი (შვილების აღზრდაში მეტი წვლილი ჩემს მეუღლეს, პროფესიით პედაგოგს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი მიუძღვის), გიპასუხებთ, რომ ძნელი ნამდვილად არ არის. თუ ვიტყვით რთულიაო, – იმ გაგებით, რომ დღეს ყველას უჭირს ეკონომიურად, ჩემთან მოდიან დახმარებისათვის და, რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში მათი თხოვნა აღემატება ჩემს შესაძლებლობებს და კომპეტენციას. ხოლო მოსახლეობისათვის, მისი უმეტესი კონტიგენტისათვის ამის ახსნა ცოტა რთული ასახსნელია, რადგან მათ ჰგონიათ, რომ მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს სოფელში, ყველაფერი შემიძლია. მაგრამ, ბევრი გაგებითაც ხვდება დღევანდელ მდგომარეობას და მოთმინებით ელოდება სოციალური დახმარების გადასამოწმებლად შეჩერებული სოციალური დახმარების აღდგენას, ან სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

– თუ ყოფილა შემთხვევა, როცა არასამუშაო დღეებში მიგიტოვებიათ პირადი, საოჯახო საქმეები და დრო სოფლისთვის დაგითმიათ?

– შეძლებისდაგვარად ვაგვარებთ სოფელში არსებულ პრობლემებს, თავად მოსახლეობაც ძალიან მიდგას ამ კუთხით მხარში. სოფელი ქართულ სულს ატარებს, მათ კარგად აქვთ გამჯდარი ის ჩვევები, რაც ქართულ სოფელს სულს ბერავს – მათთვის სოფლის სატკივარი პირადი სატკივარია, ამდენად ეს ჩემზედაც მოქმედებს და სოფლის პრობლემების მოგვარების დროს არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, სამუშაო დღეა თუ დასვენების დღე. ხშირად გადამიდია ჩემი პირადი საქმე და დასვენების დღეებში მოგვიგვარებია ესა თუ ის პრობლემები. მაგალითისთვის გეტყვით, რომ რამდენჯერმე დაზიანდა სოფლის ბოლოს არსებულ რეზერვუართან არსებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალური მილი, რომელიც ჩვენი ძალებით გავაკეთეთ პირადად მე და წყლის მარეგულირებელმა უშანგი ალუღიშვილმა, რომელსაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი გაზეთის საშუალებით გვერდში დგომისათვის და დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების დროს ყოველთვის აქტიურად გვერდში მედგნენ ჩემი შვილებიც და სოფლის ახალგაზრდებიც, რაზედაც ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას მინდა მადლობა ვუთხრა და ვუსურვო, კვლავაც დიდი შემართებით უგულშემატკივრონ მშობლიურ სოფელს, რომელიც შრომისმოყვარე, თბილი და ქართული ტრადიციების დიდი პატივისმცემელია.

– ბ-ნო ნოდარ, სოფელი, რომელსაც თქვენ თავკაცობთ, ჩემთვის იმდენად ნაცნობია, ჩემი მუშაობის 36-წლიანი სამსახურებრივი ურთიერთობიდან, რომ ახლობელიც კი გახდა ამ პერიოდში, ნაცნობია ის პრობლემებიც, რომლებიც ამ სოფელს სხვა სოფლების მსგავსად აწუხებთ, მაგრამ, გვესაუბრეთ, რა გაკეთდა ამ უკანასკნელ ხანს და რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში.

– ჩემი მუშაობის პერიოდში სოფელში ბევრი რამ გაკეთდა. აქედან გამოვყოფდი და ყველაზე მნიშვნელოვანს ვუწოდებდი სოფლის ამბულატორიის მოწყობას, ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტებას და სოფლის გაზიფიცირებას, რაც ყველაზე დიდი პრობლემა იყო ჩემი სოფლის მოსახლეობისათვის. მიმდინარე წლის „სოფლის პროგრამით“ გვინდა შევცვალოთ ამორტიზებული ცენტრალური წყალსადენი მილი, რომელიც წყლის ორ რეზერვუარს აკავშირებს. აღნიშნული მილი იმდენად არის დაზიანებული, რომ წყალს მოსდევს ჟანგი, რაც ფერსაც უცვლის წყალს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება დაზიანებული მონაკვეთის აღდგენაც. ასევე, გვინდა მოვახდინოთ სოფლის ერთ-ერთი უბნის სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სადაც მოსახლეობას თითქმის 64 კომლს სასმელი წყალი მიეწოდება შეფერხებით.

მინდა გითხრათ, რომ სოფელში, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომელსაც შეძლებისდაგვარად, ნელ-ნელა მოვაგვარებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით და თავად სოფლის ერთად დგომით. თუმცა გაგაცნობთ, ბოლო ორ წელიწადში რაც გაკეთდა ჩვენს სოფელში:

– 2013 წელი: „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ჩვენს სოფელში განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა – 14923 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად: – სოფ. ვერხვიანის სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციასა და საბავშვო ბაღში წყლის შეყვანასა და იქ სველი წერტილების მოწყობაზე.

– აღსანიშნავია, რომ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის დაფინანსების გარეშე აღდგენილ იქნა დაზიანებული მაგისტრალური წყალსადენი მილი ორ უბანზე (ციხესთან და ყანდაურა-ვერხვიანის დამაკავშირებელ გზაზე შეცვლილი იქნა 48მ 100 მმ-იანი მილი. გადაიხურა სოფლის თავში არსებული წყლის გამანაწილებელი ჯიხური;

– ნაწილობრივ შეკეთდა და შეილესა სოფლის თავში არსებული წყლის რეზერვუარი;

– სოფლის ბოლოს წყლის რეზერვუართან მოეწყო სანიაღვრე არხი, რადგან წვიმის დროს მოვარდნილი ნიაღვარი ჩადიოდა წყლის რეზერვუარში;

– ორჯერ სოფლის მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები საგარეჯოს „ჯეო ჰოსპიტალსისა“ და თბილისის „დედათა და ბავშვთა“ სამკურნალო ცენტრის ექიმების მიერ;

–ასევე, ამ აქციის დროს მოსახლეობას უფასოდ გადაეცა საჭირო მედიკამენტები, რომელიც გვაჩუქა კომპანია „ავერსმა“, – პრობლემურ უბანზე დაემატა წყლის ონკანები (8 ცალი);

– სოციალურად დაუცველ და გაჭირვებულ ოჯახებს გადაეცა ქალთა საბჭოს მიერ ნაჩუქარი პირველადი მოხმარების მედიკამენტები (ვიტამინები, ტკივილგამაყუჩებლები, ანტიბიოტიკები და სხვა);

– შეცვლილ იქნა 450 მეტრი სასმელი წყლის რკინის ამორტიზებული მილი პოლიეთილენის მილით;

– გაკეთდა კაკაბეთი – ვერხვიანის დამაკავშირებელი გზა.

– 2014 წელს: „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი იყო თანხა – 14610 ლარი. სოფლის პროგრამით გაკეთდა და შერემონტდა ყოფილი სკოლის ერთი ოთახი, სადაც მოეწყო ოთახი ამბულატორიისათვის და კვირაში ერთხელ ოჯახის ექიმი ადგილზე ღებულობს სოფლის მოსახლეობას. სოფლის მოსახლეობას აღარ უწევს წასვლა 4-5 კმ-ის მანძილზე მეზობელ სოფელში;

– სოფლის თავში არსებულ წყლის რეზერვუარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (გარშემო მთლიანად დაეხსა ბეტონი და შემოიღობა მავთულის ბადით);

– სასმელი წყლის მაგისტრალურ მილზე მოეწყო ე.წ. უკუ ჩამკეტი.

რეგიონული განვითარების პროგრამის დაფინანსებით დაიგო ასფალტი ჩვენი სოფლის ავტომაგისტრალთან დამაკავშირებელი გზის 2 კმ-იან მონაკვეთზე, რამაც ძალიან გაახარა სოფელიც და გაგვიადვილა მაგისტრალთან დაკავშირება.

2015 წელს კი:

– სოფელში მოხდა გაზიფიცირება – გაზი შეყვანილი იქნა თითქმის ყველა ოჯახში, რითაც ჩვენი სოფლის თითქმის 40-წლიანი ოცნება ახდა.

– შეცვლილი იქნა სასმელი წყლის დაზიანებული ტუმბო.

ესაუბრა
თინა ილაური



კულტურა

საგარეჯოს კულტურის ობიექტების „ზაფხული – 2015“

(დასკვნითი მიმოხილვა)

საფხაძრო მედიტაცია

ნუ დაგავიწყდებათ, მადლობა მიაგოთ მრავალმოწყალე უფალს

ეკლესია არის ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენი სულისა და ხორცის აურაცხელ წყლულს, სალბუნს ადებს ზეციური მკურნალი.

ყოველგვარ სნეულებაზე წმინდა პანტელეიმონ მკურნალს, სხვა უვერცხლო მკურნალებს – კვიროსს და იოანეს, კოზმა და დამიანე ასირიელებს,წმინდა დიდმოწამე გიორგის, მოციქულთასწორ წმინდა ნინოს, მოწამე დიომიდე ექიმს, მოწამე თალალე ექიმს, წმინდა მოწამე შუშანიკს, ღირს ილარიონ ქართველს, ღირს სამსონ უცხოთშემწყნარებელს, წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელს, სასწაულმოქმედ მღვდელმთავარ მღვდელმოწამე ერმოლაოზს – წმინდა პანტელეიმონის მოძღვარს, მოწამე ანტიოქე მკურნალს, მოწამე ფოტისა და ანიკიტეს, ღირს პიმენ მრავალსნეულს და მღვდელმოწამე მოკიოს ამფიპოლელს მიმართავენ.

კუჭისა და **მუცლის ღრუს** დაავადებებისას წმინდა დიდმოწამე არტემის და ღირს თეოდორე სტუდიელს სთხოვენ დახმარებას, ასევე უვერცხლო მოწამეებს – კვიროსს და იოანეს, ღირს სერაფიმე საროველს.

ხელების ტრავმის დროს ღვთისმშობლის „სამხელიან“ ხატს და ღირს იოანე დამასკელს შესთხოვენ განკურნებას, ფეხების ტკივილისას წმინდა კეთილმორწმუნე თავადებს – ბორის და გლებს,წმინდა სერაფიმე საროველსა და ვერხოტურელ საკვირველმოქმედს, წმინდა მართალ სვიმეონს.

ტუბერკულოზის დროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის ხატს „ყოველთა მწუხარეთა სიხარულს“ და წმინდა დიმიტრის – როსტოველ მიტროპოლიტს.

ციება-ცხელებისას ღვთისმშობლის ხატს „ცოდვილთა თავმდებს“, ღირს მირონ და ბასილი ახალს, **ციებისას** – წმინდა დიდმოწამე ქეთევანს, ცხელებისას წმინდა პეტრე მოციქულს და წმინდა დიდმოწამე ქეთევანს, **მპერდის ტკივილისას** – წმინდა დიმიტრი როსტოველს, **ძალის სისხლდენის** დროს – ღირსი აპატის.

ქრმათა მფარველად და მკურნალად წმინდა ქალწულმოწამე ბარბარე, წმინდა დიდმოწამე პარასკევა,წმინდა პანტელეიმონ მკურნალი და და წმინდა მართალი სვიმეონ ღვთისმეტყველი ითვლებიან; **ჩვილ ბავშვებს** კენომანიელ ეპისკოპოსს, წმინდა იულიანეს ავედრებენ.

უშვილოთა შემწენი არიან ღვთისმშობლის მშობლები: მართალი იოაკიმე და ანა, ღირსი რომანოზ განდეგილი, ღირსი ექვთიმე დიდი, წმინდა მოწამე შუშანიკ ედდოფალი, ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი წმინდა ნინო, ბეთლემში ჰეროდეს მიერ მოწყვეტილი ჩვილი, რომელიც კიევის ლავრაშია დავანებული.

მშობიარეთა შემწენი – წმინდა დიდმოწამე ანასტასია, წმინდა დიდმოწამე ეკატერინე, ღირსი მელანია რომაელი და მართალნი: ზაქარია და ელისაბედი (წმინდა იოანე ნათლისმცემლის მშობლები).

გონებაშეშლილთა მკურნალია წმინდა ანდრია სალოსი, ძლიერი სისუსტის და ფიზიკური უძლურების დროს, რასაც თან ახლავს უმადობა და უძილობა, ღირს ალექსანდრე სვირელსა და ღირს ნიკიტა მესვეტეს მიმართავენ დახმარებისათვის.

ეპილეფსიით ავადმყოფობისას – ტიხვინის ღვთისმშობლის ხატს, მთავარანგელოზ სელაფიელს და მოწამე ვიტეს.

როცა **ურწმუნოება მოგვეძალება** თომა მოციქულს უნდა მივმართოთ. **მრისხანებისგან თავის დასაცავად** წმინდა ეფრემ ასურს,**ხორცთა აღძვრის ვნებისაგან გასათავისუფლებლად** – ღირს მარიამ მეგვიპტელს და წმინდა თომა დამასკელს, **ეკლესიიდან განდგომილთა მოსაბრუნებლად** – ღირს სვიმეონ მესვეტეს, **სიმთვრალისა და ლოთობისაგან თავის დასაცავად** – ღვთისმშობლის ხატებს „ცოდვილთა თავმდები“ და „ბარძიმი დაულეველი“, ღირს მოსე შავს და მოწამე ბონიფანტეს; **სასოწარკვეთილების ჟამს** – ღირს ათანასე ათონელს და წმინდა მღვდელმთავარს იოანე ოქროპირს. გასაჭირში შეგვეწევიან წმინდა მოწამენი: ევსტრატე, ავქსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტე.

ეშმაკეულთა განსაკურნებლად, ჯადოქრობისა და საერთოდ, ბოროტი სულებისაგან თავდასაცავად მიმართავენ წმინდა მღვდელმოწამე კვიპრიანეს (კართაგენელს) და წმინდა მოწამე იუსტინა ქალწულს, ღირს გრიგოლ ხანძთელს, ღირს ილარიონ ქართველს, ღირს მაკარი ალექსანდრიელს, მოწამე ჰაბო თბილელს, ღირს მარუთას – მესოპოტამიელ ეპისკოპოსს, წმინდა ტიხონს – ვორონეჟელ მღვდელმთავარს და ღირს იოანეს – ექვთიმე ათონელის მამას.

ზღვით მოგზაურთათვის ყაჩართა თავდასხმისა და გზის აბნევისაგან თავის დასაცავად წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედს, რომელსაც **ძალიშვილთა გათხოვებისთვისაც** შესთხოვენ დახმარებას.

შინ კეთილად დაბრუნებისათვის წმინდა ორმოც მოწამეს – სებასტიის ტბათა შინა წამებულთ.

უზიარებლად რომ არ გარდავიცვალოთ, წმინდა დიდმოწამე ბარბარეს უნდა შევთხოვოთ, რომელიც დიდი მეოხია წინასე ღვთისა.

უეცარი სიკვდილისაგან წმინდა მღვდელმოწამე ხარლამპემ უნდა დაგვიფაროს, რომელსაც **მიწის ნაყოფიერების სიუხვისთვისაც** უნდა ვევედროთ ღირს ონოფრე დიდთან ერთად, **ომში სიკვდილისაგან** – წმინდა პირველმოწამე თეკლეს, **ტყვედ ჩავარდნისაგან** კი წმინდა პეტრე ათონელს უნდა შევთხოვოთ დახმარება. **ოჯახის სიმტკიცის მფარველებად** წმინდა მოწამეები: ანდრიანე და ნატალია ითვლებიან. **ბედნიერი ქორწინებისათვის** წმინდა მოწამე სვიმეონ ზილოტის, ღვთისმშობელ მარიამს და მფარველ ანგელოზს სთხოვენ შემწეობას. წმინდა მოწამეებს: გურის, სამსონს და აბიბოს იმ შემთხვევაში მიმართავენ, **როცა ცოლ-ქმრული სიყვარული საფრთხის წინაშეა. შიმშილობისას წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი** დაიცავს ყველას, ვინც მას რწმენით მიმართავს, **ცუდი სიზმრებისაგან** კი, მფარველმა ანგელოზმა უნდა დაგვიცვას.

ავადმყოფობისა და განსაცდელის ჟამს, ვიდრე წმინდანებს რაიმეს შევთხოვთ, მანამდე მათი ტროპარ-კონდაკი უნდა წარმოვთქვათ.

„ინფრასტრუქტურა-2015“ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

გიორგიწმინდა



გზა, რომლის სიგრძე 950 მეტრია

დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და მთავრობის ძირითადი მიზანი თითოეული სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. უპირველეს ყოვლისა კი – მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება და შიდა სასოფლო გზებისთვის ნორმალური სახის მიცემა. სექტემბრის პირველი დეკადის მზიანმა დღეებმა მეტი საშუალება მისცა მშენებლებს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. სოფლის მოსახლეობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს სოფელში მიმდინარე თითოეული პროექტის განხორციელებას.

გიორგიწმინდა საგარეჯოს მოსაზღვრე ერთ-ერთი კომლმრავალი თემია, სადაც დღეს ის პროექტები განხორციელდა და ხორციელდება, რომლებიც აქაური მოსახლეობის სოციალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესებს. სწორედ ამ პროექტებზე გვესაუბრება დღეს გიორგიწმინდელთა რჩეული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს ქონების მართვის საკითხთა *კომისიის თავმჯდომარე* ივანე ბეჟიაშვილი, რომელიც გიორგიწმინდელთა თქმით, ყოველდღიურად აქტიურადაა ჩაბმული სოფელში და საერთოდ, გიორგიწმინდის თემში შემავალ სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებელ საქმიანობაში:

გარეგანათება

– ჩვენი საუბრის დაწყება გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (საბავშვო ბაგა-ბაღში) ჩატარებულ იმ სამუშაოებით მინდა დავიწყო, რომელიც აქ ზაფხულის პერიოდში განხორციელდა. წლების განმავლობაში შენობა შიგნითაც ითხოვდა სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სწორედ ახლა მოხერხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით კვების ბლოკის მოწესრიგება, კეთილმოწყობა, მისთვის საჭირო ავეჯის ნაწილობრივ შეძენა, სველი წერტილების, საპირფარეშოებისა და ხელსაბანების მოწესრიგება, ასევე, მთლიანად შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა, რომლის გაუმართაობაც წლების განმავლობაში დიდ პრობლემებს უქმნიდა მომსახურე პერსონალს. სამზარეულოში ცხელი წყლის სისტემის გაკეთება ბევრად შეუწყობს აქ სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და ნორმების დაცვას. აქ საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული თანხებით დაფინანსდა. დამზადების პროცესშია და უახლოეს ხანში ეზოში დაიდგმება და დამონაჟდება ეზოს დანადგარები (ატრაქციონები), რომელიც მარტო აქაური აღსაზრდელების გასართობი არ იქნება, ეზოსაც დაამშვენებს. ეზოს დანადგარები, გასულ წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხით კეთდება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კვების ბლოკი

ცნობისათვის: ***აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 4 საალმზრდელო ჯგუფი ფუნქციონირებს. 14 სექტემბერს აქ 90 აღსაზრდელზე მეტს ელოდებიან, მათგან 24 – პირველად შემოსვლის დაწესებულების კარებს. გასულ სასწავლო წელს აქაურმა აღმზრდელებმა 36 ბავშვს დაულოცეს გზა სკოლისაკენ.***

სოფლის მოსახლეობისთვის მართლაც მოუხერხებელი იყო სასოფლო გზა, რომელიც რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალს უერთდება. აქ ათეული წლების განმავლობაში არ იყო გარე განათება. ეს პრობლემაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით გადაიჭრა.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით გაკეთდა ე.წ. „მეკოკიანთ უბნის“ გზა, რომელიც 35 წლის წინ იყო მოასფალტებული და ქვეითადმოსიარულესაც უჭირდა უკვე აქ გავლა. ამ სამუშაოებზე 150 ათასი ლარი გაიხარჯა.

გიორგიწმინდის ე.წ. „მირზაანთ უბანში“ 50 კომლი იმ ჭაბურღილიდან იღებს წყალს, რომლის ძრავიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შევიძინეთ. ასევე, ამ ჭაბურღილისთვის შევიძინეთ 150მ ელექტროკაბელი და სხვა საჭირო მასალები, რაზედაც გაიხარჯა 6984 ლარი;

ე.წ. „ბარამაანთ უბანში“ არსებულ ჭაბურღილში ძრავი იყო ჩავარდნილი. ერთ ხანს აქ მცხოვრები 50 კომლი სასმელ წყალს შორიდან ეზიდებოდა, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ ეს პრობლემა მოგვარდა – შევიძინეთ ტუმბო, საჭირო მასალა და დღეს ჭაბურღილი ფუნქციონირებს;

დღეს სოფელში გასაკეთებელი მართალია, ბევრი რამ შეიძლება იყოს, მაგრამ აქაურმა მოსახლეობამ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან დასაფინანსებლად სოფლის საქმიო ამბულატორიის მოწყობა-რეაბილიტაცია დააყენა. აღნიშნული შენობა გასული საუკუნის 60-70-იან წლებშია აშენებული და ავარიულია უკვე.

ვანო ბეჟიაშვილი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გიორგიწმინდის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გიორგიწმინდისათვის 44992 ლარია გამოყოფილი...

გასულ წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხა (3675 ლარი) „ნავრობის“ ხევის სათავე-ნაგებობის შემოღობვას მოხმარდება.

სოფლიდან ახლოს, „სამების“ ქარხანასთან არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ამოსარეცხად და იქ არსებული ტუმბოს მონტაჟისა და 1 კმ-იანი ქსელის მოსაწყობად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარია გამოყოფილი. აღნიშნული სასმელი წყლის ქსელის სოფლის ე.წ. „ჩიპასუბანში“ მიყვანა აქაურ მოსახლეობას ათეული წლობით არსებულ სასმელი წყლის დეფიციტს მოუხსნის.

დღეს ხელით იწმინდება სანიაღვრე არხები საგარეჯო-გიორგიწმინდის დამაკავშირებელ ქუჩაზე.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გიორგიწმინდის თემში შემავალ ორ სოფელში მარიამჯვარსა და ანთოკში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად, შესაბამისად გამოყოფილია 5215 ლარი (ანთოკში სასმელი წყლის რეზერვუართან ახალი ხაზის გასაყვანად და შიდა ქსელის მოსაწყობად) და 4703 ლარი (მარიამჯვარში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება-რეაბილიტაციისათვის).

აღნიშნული სამუშაოებიდან ნაწილობრივ უკვე დაწყებულია და დამთავრდება. ამ დღეებში მუშაობს მძიმე ტექნიკა ანთოკი-გიორგიწმინდის დამაკავშირებელი გზის მოსაწესრიგებლად.

ახალი წლიდან კი ახალი საკეთებელი გამოჩნდება...

საკანალიზაციო ჭა

ახლახანს ამოქმედებული ჭაბურღილი

გიორგიწმინდელი პატარებისათვის შეიცვალა ხელსაბანი წყლის ნიშარები

ჩვენი თანამემამულე

„წუთისოფლის ქურაში“

„წლოვანი, განა ბებერი... გაუტეხლობის პიტალო“...

თვალთხევის ორღობეს ავედევნები

სანდრო მამარდაშვილს

უცეცხლო ზამთრის ქალაქში გნატრობ,
გიგონებ სახლიკაცს,
არცა ხესა ვჭრი ჭალაკში, არცა
მიბია ძაღლი კარს.
ვერც ეგ თვალთხევი ვიხილე,
ვეღარც ძმა გნახე შვილმკვდარი,
კვიცის ხმით აღარ ჭიხვინებს
შენი ეზო და ჭიშკარი.
უცხო ბურუსში მახვევენ ხსოვნის
მუქმწვანე მტევნები
და შენთან ერთად თვალთხევის
ორღობეს ავედევნები.
იწვის ჩამავალ მზეებში კუნლის
წითელი ფოთოლი,
მაყვალს ჰკრეფს ორღობეებში ჩვენი
ბავშვობა ობოლი.
ის ობლის ჭრელ ჩითებს გვახვევენ
სათავის დიჭაბარდები,
იები თვალებს ახელენ,
კვირტებს ჰბერავენ ვარდები...
და ობლის კვერი ცხვებოდა,
ჰოი, რა დიდხანს ცხვებოდა,
მიწა სისხლით არ ძღებოდა,
არც ქარიშხალი ცხრებოდა.
უსათავებდა ერთ იორს, ის ოფლი,
ჩვენ რომ დავდვარეთ,
თუმცა არ მოსწონს ერთი-ორს,
ქედი რო ძირს არ დავხარეთ.
ის ობლის კვერი კვლავ ცხვება,
თუმც შვიდმთის იქით გადავალ,
მკერდზე კვლავ ქარი გვაცხრება,
აუწყვეტია სადავე.
ნათელი ბნელით მარცხდება,
კარზე ნალს არ გვიხატავენ,
გულის ტკივილი არ ცხრება,
არ შრება ცრემლის სათავე.
მე ამ ქარიშხლის ჟამსაც გმხერ
ზეზე მდგარს დაუჩოქარსა.
აღმართზე აბრუნებული უბერებელი სულითა,
გზას ასდევს გაბრუებული ვაზის
ყვავილის სუნითა.
ჩემო მხარგამმაგრებელო, წლოვანო, განა
ბებერო,
სიმხნევე უნდა შეგნატრო
გაუტეხლობის პიტალოს.
მტრედსა ვთხოვ (ფოსტას ვერ ვანდობ),
ეს ლექსი ჩამოგიტანოს.

22 იანვარი. 1994

ეს ლექსი საგარეჯოელმა პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა ჩვენს თანამემამულეს სანდრო მამარდაშვილს 1994 წლის იანვარში მიუძღვნა. ეს ის წელია, როცა საქართველო სიბნელესა და სიღატაკეში იყო ჩაძირული, როცა ადამიანები წარსულის ლამაზი დღეების გახსენებით აფერმკრთალებდნენ ცივ, მრუმე, შავბნელ დამეებს, გაცრიატებულ, პირქუშ დღეებს (არ ჰქონდა მნიშვნელობა ზამთარი იყო თუ ზაფხული). ის წლები დიდი სამამულო ომის მომსწრე თაობასაც ზარავდა თავისი განუკითხაობით და ახალგაზრდობასაც...

სანდრო მამარდაშვილი საგარეჯოში დაიბადა 1922 წელს. დღეს 9 ათეულ წელს გადაცილებული თავის ახალგაზრდობას იხსენებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება თავისი ცხოვრების მოგონებების გორგალს...

მუშაობდა საქართველოს შინსახკომის საგარეჯოს გასამხედროებულ ნაწილში. ომის მძიმე პერიოდში თავის თანამშრომლებთან ერთად ტყეში გასულ ყაჩაღებსა და ბანდიტებს ეძებდა, მათი თავდასხმისგან იცავდა მშვიდობიან მოსახლეობას. იყო საგარეჯოს სამხედრო მაგიდის უფროსი, შემდეგ წლებში კი მუშაობდა საგარეჯოს ჯერ სასოფლო, შემდეგ საქალაქო საბჭოში, იყო საქალაქო საბჭოს ხუთგზის მოწვევის დეპუტატი, საგარეჯოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, სამშენებლო ორგანიზაციების საპასუხისმგებლო პოსტებზე.

მეუღლესთან – ელენესთან ერთად მყარი, თბილი და ტკბილი ოჯახი შექმნა. ზრდიდნენ და შეხაროდნენ ერთ ქალიშვილსა და ორ ვაუს, მათ ბედნიერ მომავალზე ოცნებობდნენ, მაგრამ... 21 წლის სიმონა თანატოლთან ერთად ავტოავარიაში მოჰყვა და ორივე ერთად იმ ქვეყანაში გადასახლდნენ. შავი ძაძით წავიდა ელენე შვილთან, შავი არ გაუხდია მამას. ახლა 4 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი ახარებს მის გულს. კიდევ? კიდევ შვილთაშვილების – ზაურ და სიმონ მამარდაშვილების სპორტული მიღწევებით ხარობს დიდი პაპა. მისი შვილი – სიმონა სსრკ ჩემპიონი იყო ჭიდაობაში, ახლა მასზე მეტი წარმატებები მის მოსახელეს – სიმონას აქვს, ამიტომაც გულშემატკივრობს ასე აქტიურად – იცის, რომ სიმონა თავის სიტყვას იტყვის ჭიდაობაში და ასახელებს გვარს...

დღეს საგარეჯოში დადის კაცი, რომლის თვალწინ პატარა სოფლიდან ქალაქად გაიზარდა, გამრავლდა, გალამაზდა საგარეჯო. უხარია და ამ სიხარულს ვერ მალავს, რომ თამარ მეფის ქუჩა ისევ გალამაზდა, მოწესრიგდა და ასფალტი დაიგო. ახსენდება, რომ ეს ქუჩა წარმოშობით გურჯაანელის, მაშინდელი საგარეჯოს აღმასკომის თავმჯდომარის არჩილ დავითაშვილის თაოსნობით მოწესრიგდა პირველად გასული საუკუნის 60-70-იან წლებში და ახლა ახალ სახეს იღებს. მაგრამ... გულის სტკივა, ადამიანები ერთმანეთის მიმართ ძალიან გაცივდნენ და ბევრი კარგი ტრადიცია დაივიწყეს, რაც ჩემს პატარა ქალაქს ალამაზებდა და ათბობდაო...

მადლობა

მადლობას ვუხდით *შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ქვემო სამგორის სისტემური სამმართველოს უფროსს* **შშანგი (უჩა) თაბაგარს,** *მარცხენა მაგისტრალური არხის უფროსს* **ნოდარ ლაშაჩიშვილს,** *ამავე მაგისტრალური არხის მონაკვეთის ხაზის უფროსს* **ზურა შაქარაშვილს,** *სამმართველოს ყველა თანამშრომელს,* ვინც მონაწილეობდა სოფელ მანავში არსებული სარწყავი არხის გაწმენდისა და იქ შესასრულებელი სამუშაოების კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

სოფელ მანავის მოსახლეობის სახელით:
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფ. მანავში
დიმიტრი საბაშვილი

ტრადიციების კვალდაკვალ

27 აგვისტოს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღია საჭიდაო არენაზე ჩატარდა საგარეჯოელი ფალავნის, ქართული ჭიდაობის ენთუზიასტისა და ცნობილი პიროვნების, საგარეჯოს კოლორიტის – იოსებ მარხვაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მისი სახელი კარგად ახსოვთ გასული საუკუნის 50-60-იანი წლების გარეჯული სპორტის გულშემატკივრებს. ნახერხმოყრილი მოედნების ფალავნის ტურნირის ღია საჭიდაო არენაზე ჩატარების ინიციატორი, როგორც ყოველთვის აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მესვეურნი, ხოლო სპონსორი და შეჯიბრების მთავარი მსაჯი იოსებ მარხვაშვილის ვაჟი – შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს განყოფილების თავკაცი გია მარხვაშვილი იყო. ასპარეზობა ხუთ ძირითად და აბსოლუტურ წონებში ჩატარდა, რომელშიც პატარა ასაკის მოჭიდავეებთან ერთად ცნობილი საგარეჯოელი ფალავნებიც მონაწილეობდნენ.

ჭიდაობა **27 კგ წონითი კატეგორიის** მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც საპრიზო ადგილები პატარა გიორგიწმინდელმა მოჭიდავეებმა დაიკავეს. აქ

სპორტი

იოსებ მარხვაშვილის ხსოვნის ტურნირი საგარეჯოში

ჩემპიონი გახდა **დავით კევლიშვილი**, *მეორე ადგილი* დაიკავა **ლუკა ჭინჭარაძემ**, *მესამე* – **გიორგი ნაცვლიშვილმა.**

30 კგ წონითი კატეგორიაში *პირველი ადგილი* დაიკავა პატარძეულელმა **გიორგი ზუკაკიშვილმა**, *მეორე ადგილზე* გავიდა ნუგზარ ნაცვლიშვილი (გიორგიწმინდა), *მესამეზე* ასევე გიორგიწმინდელი **ლევან ჩახვაშვილი.**

35 კგ წონითი კატეგორიაში დაიკავა **გიორგი ჭიაბერაშვილმა**, II – **გივი ხოსიტაშვილმა** (ორივე გიორგიწმინდა).

ასევე, 2 მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას **40 კგ წონით კატეგორიაში**. *პირველ ადგილზე* გავიდა გავიდა **ლეშო ზუკაკიშვილი**, *მეორეზე* – **ლევან კევლიშვილი.**

50 კგ წონითი კატეგორიაში იმარჯვა საგარეჯოელმა **როინ ყორდანაშვილმა**, *II ადგილი* დაიკავა მანაველმა **ნუკრი უცუნაშვილმა**, *მესამე* – **ბეჭა თათრიშვილმა** (გიორგიწმინდა).

ამის შემდეგ ჩატარდა ტურნირის *„აბსოლუტური ფალავნობა“*, სადაც *I ადგილი* და გია მარხვაშვილის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო – **300 ლარი** მოიპოვა საგარეჯოელმა **ზაურ მამარდაშვილმა.** *მეორე ადგილი* და შესაბამისად **200 ლარი** წილად ხვდა მანაველ **ოთარ კაციაშვილს**, ხოლო *III ადგილისა* და 100 ლარის მოპოვება შეძლო **სიმონ მამარდაშვილმა** (საგარეჯო)

აღნიშნული ფულადი ჯილდოები „აბსოლუტური ფალავნობის“ პრიზიორებს გადასცა ასპარეზობის სპონსორმა გია მარხვაშვილმა.

ტურნირზე *აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“* მიერ ასევე დაწესებული იყო **თასი**, რომელიც გადაეცა აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულ **ზაურ მამარდაშვილს.**

გ. დაბახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს (3 სექტემბერი) ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილს – **ზინა ხატიაშვილსა** და მის შვილს, ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს – **ლუკა ბუჩაშვილს.** ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს და დიდ წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში.

სიყვარულით დედა – რუსიკო ხატიაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru